სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 86

2019 წლის 18 ივლისი

ქ. თბილისი

ევროპული კვლევებიის საბჭოს (ERC) გრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან საქართველოს მკვლევართა სამეცნიერო სტაჟირების კონკურსის გამოცხადების შესახებ

„საერთაშორისო პროგრამებში ქართველ მეცნიერთა ჩართულობის ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 12 მარტის N291/ნ ბრძანების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საერთაშორისო ურთიერთობებისა და ფონდების მოზიდვის სამსახურის სპეციალისტის 2019 წლის 17 ივლისის N960132 სამსახურებრივი ბარათის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ევროპული კვლევებიის საბჭოს (ERC) გრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან საქართველოს მკვლევართა სამეცნიერო სტაჟირების კონკურსი (შემდგომში - კონკურსი);
2. დამტკიცდეს კონკურსი პირობები ამ ბრძანების დანართი N1 -ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს „კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ" ფორმა ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;
4. დამტკიცდეს კონკურსის საპროექტო წინადადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;
5. დამტკიცდეს პროფესიული ბიოგრაფია (CV)-ს ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;
6. დამტკიცდეს თანადაფინანსების შესახებ ცნობის ფორმა ამ ბრძანების დანართი N5-ის შეასაბამისად;
7. დამტკიცდეს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N6-ის შესაბამისად;
8. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
9. ბრძანება ძალაშია ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ზვიად გაბისონია

დანართი №1
დამტკიცებულია
სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის
2019 წლის 18 ივლისის N86 ბრძანებით

ევროპული კვლევების საბჭოს (ERC) გრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან საქართველოს მკვლევართა სამეცნიერო სტაჟირების კონკურსის
პირობები

1. ზოგადი დებულებანი

1. ევროპული კვლევების საბჭოს (ERC) გრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან საქართველოს მკვლევართა სამეცნიერო სტაჟირების კონკურსის (შემდგომში - „კონკურსი") მიზნებია:
   ა) ევროპული კვლევების საბჭოს (შემდგომში - „ERC") საგრანტო კონკურსებში საქართველოს მეცნიერთა წარმატებული მონაწილეობისა და საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირების ხელშეწყობა;
   ბ) საქართველოს გამორჩეული მეცნიერების სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირების დაფინანსება ERC-ის მიერ მხარდაჭერილი პროექტების სამეცნიერო ხელმძღვანელებთან და კვლევით ჯგუფებთან, მასპინძელ კვლევით უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო კვლევით ცენტრებში.
2. კონკურსი ფინანსდება „საერთაშორისო პროგრამებში ქართველ მეცნიერთა ჩართულობის ხელშეწყობის პროგრამის, თავი II, ქვეპროგრამა 1, ;ირველი მუხლის 1.3 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბიუჯეტიდან. კონკურსის ადმინისტრირებას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (პროგრამული კოდი: 32 05 01 02) (შემდგომში - „ფონდი") საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 12 მარტის № 291 ბრძანების "საერთაშორისო პროგრამებში ქართველ მეცნიერთა ჩართულობის ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ", წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული წესებისა და „ERC-ის გრანტიორთან კვლევითი სტაჟირების პროგრამით" დადგენილი რეგულაციების შესაბამისად (fellowship to visit ERC grantee, ERC Guidelines).
3. კონკურსის ფარგლებში დაფინანსდება პროექტები ყველა სამეცნიერო მიმართულებაში, გამორჩეული მეცნიერების ხელშეწყობის მიზნით.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ა) **ახალგაზრდა მეცნიერი** – საქართველოს მოქალაქე, რომელსაც დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი მიენიჭა კონკურსის გამოცხადების წლამდე ბოლო 12 წლის განმავლობაში;

ბ) **გენერალური დირექტორი** – სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი, რომლის ფუნქციებში შედის დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების დამტკიცება და, საჭიროების შემთხვევაში, პროექტში ცვლილების შეტანის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

გ) **გრანტის მიმღები** – კომისიის შეფასების საფუძველზე, კონკურსში გამარჯვებულად გამოვლენილი და დასაფინანსებლად დამტკიცებული ახალგაზრდა მეცნიერი;

დ) **დამოუკიდებელი ექსპერტი** – პირი, რომელიც აფასებს საკონკურსოდ წარმოდგენილ პროექტს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 12 მარტის N291 ბრძანებით დამტკიცებული პროექტის შეფასების კრიტერიუმების მიხედვით. დამოუკიდებელი ექსპერტის ვინაობა კონფიდენციალურია;

ე) **კომისია** – დამოუკიდებელი ექსპერტებით დაკომპლექტებული ჯგუფი, რომლიც აფასებს პროექტს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 12 მარტის N291 ბრძანებით დამტკიცებული პროექტის შეფასების კრიტერიუმების მიხედვით;

ვ) **მასპინძელი დაწესებულება** – ERC-ის მიერ დაფინანსებული პროექტის (მიმდინარე და/ან დასრულებული) სამეცნიერო ხელმძღვანელის მასპინძელი დაწესებულება, სადაც ხორციელდება ERC-ის მიერ დაფინანსებული პროექტი და სადაც გრანტის მიმღები გაივლის სამეცნიერო-კვლევით სტაჟირებას.

ზ)**მიზნობრივი ანგარიში** – საგრანტო ხელშეკრულებით განსაზღვრული ანგარიში, რომელზეც მოხდება გრანტის თანხის ჩარიცხვა;

თ) **პროექტი** – ახალგაზრდა მეცნიერის მიერ სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირების დაფინანსების მოპოვების მიზნით, ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად ფონდში წარდგენილი საკონკურსო განაცხადი;

ი) **პროექტის ანგარიში** – ანგარიში მოიცავს პროექტის (კვლევითი სტაჟირების) დასრულების შემდგომ გრანტის მიმღების მხრიდან ფონდში წარმოდგენილ საბოლოო პროგრამულ და ფინანსურ ანგარიშებს.

კ) **პროექტის ბიუჯეტი** – ახალგაზრდა მეცნიერის მიერ პროექტის განხორციელებისათვის საჭირო საგრანტო დაფინანსების საერთო ოდენობა;

ლ) **პროექტის მონიტორინგი** – საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის შემოწმება და საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში ფონდის მიერ გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობის დადგენა ამავე საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დაფინანსებასთან.

მ) **პროექტის შეფასების კრიტერიუმები** – პროექტის შესაფასებლად ამ პირობებით განსაზღვრული სახელმძღვანელო პრინციპები ქულების სათანადო მითითებით;

ნ) **საანგარიშო პერიოდი** – საგრანტო ხელშეკრულებით განსაზღვრული დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც გრანტის მიმღები ახორციელებს საგრანტო სახსრების ხარჯვას და დასრულების შემდეგ წარუდგენს ფონდს ანგარიშს;

ო) **საგრანტო ხელშეკრულება** – ახალგაზრდა მეცნიერსა და ფონდს შორის გაფორმებული ხელშეკრულება;

პ) **სამეცნიერო ხელმძღვანელი** – ERC-ის მიერ დაფინანსებული პროექტის (მიმდინარე და/ან დასრულებული) სამეცნიერო ხელმძღვანელი, რომელიც მასპინძლობს ახალგაზრდა მეცნიერს სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირების ფარგლებში;

ჟ)**ტრანში** – პროექტის ბიუჯეტით განსაზღვრული კონკრეტული საანგარიშო პერიოდისათვის გადასარიცხი/გადარიცხული თანხა;

რ) **ERC** - ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამა „ჰორიზონტი 2020"-ის გამორჩეული მეცნიერების მხარდაჭერის სვეტის ერთ-ერთი მიმართულება (Excellent Science Pillar) - ევროპული კვლევების საბჭო.

ს) **ფონდი** - სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი;

მუხლი 3. კონკურსის მონაწილე სუბიექტები და მონაწილეობის პირობები

1. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია საქართველოში მცხოვრებ, საქართველოს მოქალაქე დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელსაც აღნიშნული ხარისხი მიენიჭა კონკურსის გამოცხადების წლამდე ბოლო 12 წლის პერიოდში.
2. კონკურსში მონაწილე პირი უნდა ფლობდეს ინგლისურ ან მასპინძელი ქვეყნის (ERC-ის გრანტის მიმღები მეცნიერის) ენას.
3. ევროპული კვლევების საბჭოს (ERC) გრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან საქართველოს მკვლევართა სამეცნიერო სტაჟირების ხანგრძლივობა შეიძლება იყოს 3, 4 ან 5 თვე.
4. გრანტის მიმღები ვალდებულია, სტაჟირების დასრულების შემდგომ, საგრანტო ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, წარადგინოს განაცხადი ERC-ის ერთ-ერთ საგრანტო კონკურსში და ფონდში წარმოადგინოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 4. პროექტის ბიუჯეტი და ძირითადი ფინანსური მოთხოვნები

1. პროექტის ბიუჯეტი ითვალისწინებს დაფინანსებას სტიპენდიის სახით, საერთაშორისო და საქალაქთაშორისო (დანიშნულების ადგილამდე) მგზავრობის ხარჯების ანაზღაურებას.

2. სტაჟირების პერიოდში ყოველთვიური სტიპენდიის ოდენობა განისაზღვრება 2000 ევროს ექვივალენტით ლარში; ხოლო საერთაშორისო და საქალაქთაშორისო (დანიშნულების ადგილამდე) მგზავრობის ხარჯი - 900 ევროს ექვივალენტით ლარში.

3. ყოველთვიური სტიპენდია დაფარავს შემდეგ ხარჯებს: საცხოვრებელი, შიდა ტრანსპორტირება, კვება, დაზღვევა, სავიზო მოსაკრებელი, მასპინძელ ორგანიზაციაში სტაჟირებისათვის მოთხოვნილი სარეგისტრაციო გადასახადი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4. გამარჯვებული საგრანტო პროექტის დაფინანსება განხორციელდება საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე, რომელსაც ფონდი გააფორმებს გრანტის მიმღებთან. საგრანტო დაფინანსება გრანტის მიმღების მიზნობრივ ანგარიშზე ჩაირიცხება დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით ევროს ეკვივალენტი ლარში.

მუხლი 5. საკონკურსო დოკუმენტაცია

1. საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის ახალგაზრდა მეცნიერმა გრანტების მართვის ერთიან სისტემაში GMUS-ში [Grants Management Unified System] ელექტრონულად უნდა დაარეგისტრიროს პროექტი, რომელიც შედგება შემდეგი ქართული და ინგლისურენოვანი დოკუმენტებისაგან:

ა) კრებსითი ინფორმაცია (ივსება GMUS-ში, ნიმუში - დანართი №3,);

ბ) საპროექტო წინადადება (დანართი №4);

გ) მხარდაჭერის წერილი ERC-ის მიერ დაფინანსებული პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის/მასპინძელი ინსტიტუციის მხრიდან, ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ ორგანიზაციის ოფიციალურ ბლანკზე (კვლევითი ვიზიტის დაწყების თარიღისა და ხანგრძლივობის მითითებით). წერილის ქართული თარგმანი დამოწმებული უნდა იყოს თარჯიმანთა ბიუროს მიერ;

დ) ცნობა თანადაფინანსების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენილი უნდა იყოს დამფინანსებელი ორგანიზაციის ოფიციალურ ბლანკზე, ან დანართი №6-ის ფორმით, დამოწმებული თანადამფინანსებელი იურიდიული ან ფიზიკური პირის ხელმოწერით და ორგანიზაციის ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სავალდებულოა ცნობაში მითითებული იყოს თანადაფინანსების თანხა. თუ დოკუმენტის ორიგინალი გაცემულია უცხო ენაზე, აუცილებელია მისი ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ;

ვ) ახალგაზრდა მეცნიერის პროფესიული ბიოგრაფია (CV) – კონკურსში მონაწილე ახალგაზრდა მეცნიერი უნდა დარეგისტრირდეს GMUS-ში, შექმნას „მეცნიერის პროფილი“, რომლიდანაც დაგენერირდება CV, ექსპორტირდება და აიტვირთება PDF დოკუმენტის სახით პროექტის წარდგენისას (ნიმუში - დანართი №5);

ზ) ინგლისური ენის ან მასპინძელი ქვეყნის (ERC-ის გრანტის მიმღები მეცნიერის) ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი (სერტიფიკატი, ან დოკუმენტი ენის მინიმუმ B2 დონეზე ცოდნის მითითებით);

თ) ახალგაზრდა მეცნიერის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი უცხოეთშია გაცემული, მას თან უნდა დაერთოს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი, გაცემული „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“ მიერ.

2. საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის ფონდის კანცელარიაში კონკურსანტებმა უნდა წარმოადგინონ:

ა) „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ (დანართი №7, გენერირება GMUS-ით) დამოწმებული შესაბამისი ხელმოწერით;

3. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში გრანტის მიმღებმა ფონდის კანცელარიაში უნდა

წარმოადგინოს:

ა) მიზნობრივი ანგარიშის რეკვიზიტები – ამ პროექტისათვის გახსნილი ლარის საბანკო ანგარიშის ნომერი, რომელზეც გამარჯვების შემთხვევაში ჩაირიცხება გრანტი და ცნობა ბანკიდან, რომ აღნიშნულ ანგარიშზე არ დაირიცხება სხვა სარგებელი;

ბ) თანადაფინანსების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თანხის მიზნობრივ საგრანტო ანგარიშზე დარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი.

4. საკონკურსო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ამ ბრძანებით დამტკიცებული წესების, ფორმებისა და ვადების დაცვით.

5. პროექტის სრულყოფილად წარმოდგენაზე, ქართული და ინგლისური ვერსიების იდენტურობასა და თარგმანის ხარისხზე პასუხისმგებელია ახალგაზრდა მეცნიერი.

მუხლი 6. კონკურსზე რეგისტრაციის წესი

1. კონკურსში პროექტის რეგისტრაცია ხორციელდება ორ ეტაპად:

ა) ელექტრონული რეგისტრაცია – 2019 წლის 25 ივლისიდან - 20 სექტემბერის 16:00 საათამდე;

ბ) ფონდის კანცელარიაში რეგისტრაცია – 2019 წლის 23 სექტემბრის 16:00 საათამდე.

2. ელექტრონული რეგისტრაციის ეტაპი გულისხმობს საკონკურსო დოკუმენტაციის ატვირთვას ფონდის გრანტების მართვის ერთიან სისტემაში (GMUS-ში) შემდეგ ბმულზე: http://gmus.rustaveli.org.ge.

ელექტრონული რეგისტრაციისათვის საჭიროა:

ა) კონკურსში მონაწილის რეგისტრაცია GMUS-ში – „მეცნიერის პროფილის" შექმნა და განათლების ველში კონკურსის პირობების მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული აკადემიური ხარისხის/სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტების ატვირთვა.

ბ) პროექტის რეგისტრაცია ევროპული კვლევების საბჭოს (ERC) გრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან საქართველოს მკვლევართა სამეცნიერო სტაჟირების კონკურსზე , კრებსითი ინფორმაციის შევსება და საკონკურსო დოკუმენტაციის ატვირთვა. (იხ. კონკურსის პირობების მე-4 მუხლი).

მუხლი 7. კონკურსის ეტაპები

1. საგრანტო კონკურსის ეტაპებია:

ა) კონკურსის გამოცხადება;

ბ) პროექტის ფონდში წარდგენა;

გ) პროექტების კონკურსის პირობებთან შესაბამისობის დადგენა;

დ) კომისიის მიერ პროექტების შეფასება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 12 მარტის N291 ბრძანებით დამტკიცებული პროექტის შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად;

ე) გამარჯვებული პროექტების დამტკიცება და საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება;

ვ) საგრანტო დაფინანსების გადარიცხვა და შესრულების მონიტორინგი.

მუხლი 8. პროექტების შეფასება

1. ფონდი უზრუნველყოფს პროექტების შეფასებისათვის აუცილებელი პროცედურების ადმინისტრირებას;

2. კომისია პროექტებს აფასებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 12 მარტის N291 ბრძანებით დამტკიცებული პროექტის შეფასების კრიტერიუმების მიხედვით;

3. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, დამატებით მოიწვოს დარგის დამოუკიდებელი ექსპერტი;

4. დამოუკიდებელი ექსპერტი და კომისიის წევრები პროექტებს აფასებენ დამოუკიდებლად, მიუკერძოებლად, საკუთარი ცოდნისა და შეხედულებების შესაბამისად და ფონდის მხრიდან რაიმე სახის ჩარევის გარეშე.

მუხლი 9. ინტერესთა კონფლიქტი

1. არ შეიძლება კომისიის წევრი/დამოუკიდებელი ექსპერტი იყოს პირი:

ა) რომელიც არის კონკურსის მონაწილე;

ბ)რომელსაც აქვს საერთო პუბლიკაცია ახალგაზრდა მეცნიერთან ან მონაწილეობს მასთან ერთსა და იმავე სამეცნიერო-კვლევით პროექტში;

გ) რომელმაც შესაძლოა უშუალოდ მიიღოს პროფესიული, ფინანსური ან პირადი სარგებელი პროექტის დაფინანსების ან დაუფინანსებლობის შემთხვევაში;

დ) რომელიც არის ახალგაზრდა მეცნიერის კვლევის/შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;

ე) რომელიც არის ახალგაზრდა მეცნიერის ნათესავი, ნათესავად ჩაითვლება:

ე.ა) პირდაპირი ხაზის ნათესავი;

ე.ბ) მეუღლე, მეუღლის და-ძმა და პირდაპირი ხაზის ნათესავი;

ე.გ) აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა;

ე.დ) და-ძმა, მათი მეუღლეები და შვილები.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირი ვალდებულია, ფონდის გენერალურ დირექტორს ოფიციალურად აცნობოს ამ მუხლში აღნიშნული გარემოებისა და თვითაცილების შესახებ.

3. იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია ექსპერტის ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ფონდისთვის ცნობილი გახდება დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების დამტკიცებამდე, ფონდი უფლებამოსილია იმსჯელოს ექსპერტის მიერ გაკეთებული შეფასების გაუქმების შესახებ.

მუხლი 10. საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება

გამარჯვებული პროექტების ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცების შემდგომ ფონდი უზრუნველყოფს საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებას.

მუხლი 11. პროექტის შესრულების მონიტორინგი

1. ფონდი ახორციელებს დაფინანსებული პროექტების საგრანტო ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგს (შემდგომში - მონიტორინგი), რომლის დროსაც განიხილავს გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილ საბოლოო ანგარიშს და ადგენს შესაბამის განხილვის აქტს.
2. მონიტორინგი მოიცავს ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს:

ა) ფინანსური მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში ფონდის მიერ გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობის დადგენას ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დაფინანსებასთან.

ბ) პროგრამული მონიტორინგის ფარგლებში გრანტის მიმღები ახალგაზრდა მეცნიერი ვალდებულია წარმოადგინოს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული კვლევითი ვიზიტის მოსალოდნელი შედეგების შესრულების შესახებ ინფორმაცია ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული ფორმის შესაბამისად, რომელიც უნდა იყოს დამოწმებული ERC-ის მიერ დაფინანსებული კვლევითი პროექტის ხელმძღვანელის (PI) ხელმოწერით და ERC-ის ერთ-ერთ საგრანტო კონკურსში პროექტის წარდგენის დამადასტურებელი დოკუმენტი, შესაბამისი ქართული თარგმანით, დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს/ თარჯიმნის ბეჭდით.

3. ფონდი არ არის ვალდებული განახორციელოს საგრანტო პროექტის იმ აქტივობებზე მონიტორინგი, რომლებიც არ არის გათვალისწინებული საგრანტო ხელშეკრულებით.
4. სტიპენდია მიზნობრივ ხარჯად აღიარდება მასპინძელ დაწესებულებაში ფაქტობრივად ყოფნის პერიოდის შესაბამისად, სათანადო დოკუმენტაციის (მათ შორის ERC-ის ერთ-ერთ საგრანტო კონკურსში პროექტის წარდგენის დამადასტურებელი დოკუმენტი და მისი შესაბამისი ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს/ თარჯიმნის ბეჭდით) წარმოდგენის საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივად ყოფნის პერიოდი შეადგენს არასრულ თვეს, მიზნობრივად ჩასათვლელი სტიპენდიის ოდენობა განისაზღვრება საგრანტო ხელშეკრულებით.

5. ვიზიტის დასრულების შემდეგ, გრანტის მიმღები ვალდებულია, სხვაობა გადარიცხულ თანხასა და მიზნობრივად ჩათვლილ ხარჯს შორის დააბრუნოს გრანტის გამცემის მიერ მითითებულ ანგარიშზე.

მუხლი 12. პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება

პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 12 მარტს №291 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის დებულების მე-4 მუხლით განსაზღვრული წესებით და საგრანტო ხელშეკრულებით.

მუხლი 13. დამატებითი მოთხოვნები გრანტის მიმღებთა მიმართ

1. საგრანტო პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგების ამსახველ პუბლიკაციებში (სტატია, მონოგრაფია, საკონფერენციო აბსტრაქტი და ა.შ) (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სავალდებულოა, მითითებული იყოს, რომ კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი ...]" / „This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [grant number ...]".
2. საგრანტო პროექტის ფარგლებში შექმნილ ვიზუალურ პროდუქციაზე (ნაბეჭდ, ფოტო, აუდიო, ვიდეო, ელექტრონულ პროდუქციაზე და ვებგვერდზე) სავალდებულოა განთავსდეს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ლოგო და მითითებული იყოს, რომ საგრანტო პროექტი განხორციელდა "შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით".
3. ფონდი უფლებამოსილია გრანტის მიმღებთა მიერ წარდგენილი პროექტის აბსტრაქტი, პროგრამული ანგარიშები და ბეჭდვითი ან/და ვიზუალური მასალები გამოიყენოს საკუთარი საქმიანობის ანგარიშში, ბეჭდვით და ელექტრონულ გამოცემებში, განათავსოს ფონდის ვებგვერდზე.
4. გრანტის მიმღები ვალდებულია, კვლევითი ვიზიტის დასრულებიდან და საქართველოში დაბრუნების შემდეგ (საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დაცვით) ჩაატაროს პრეზენტაცია კვლევითი ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობებისა და მიღებული შედეგების შესახებ.

ივსება გრანტების მართვის ერთიან სისტემაში GMUS-ში (Grants Management Unified System)
პროექტის რეგისტრაციის დროს

კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ
Cover page

ზოგადი ინფორმაცია
General Iinformation

1	პროექტის სახელწოდება ქართულად	
	Project title in English	
2	სამეცნიერო - კვლევითი სტაჟირების დაწყების თარიღი	
	Start date of the research fellowship	
3	პროექტის ხანგრძლივობა (თვე)	□ 3 □ 4 □ 5
	Project duration (month)	
4	ფონდიდან მოთხოვნილი თანხა (EURO)	□ 6900 □ 8900 □10900
	Requested funding from SRNSFG (EURO)	
5	თანადაფინანსების თანხა (ევრო) (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	
	Co-funding (Euro) (if applicable)	
6	პროექტის საერთო ბიუჯეტი (ლარი)	
	Total budget (Gel)	
7	ახალგაზრდა მეცნიერი (სახელი, გვარი)	
	Young Scientist (Name, Surname)	
9	საპროექტო წინადადება	PDF ფაილის ატვირთვა
	Project proposal	PDF file upload

სამეცნიერო მიმართულებები / Scientific field		
10	პროექტის ძირითადი სამეცნიერო მიმართულება Scientific field	
11	სამეცნიერო ქვემიმართულება Sub-field	

12	საკვანძო სიტყვები (არაუმეტეს 5 სიტყვისა)	
	keywords (no more than 5 words)	

ინფორმაცია მასპინძელი დაწესებულების შესახებ / Information about the host institution		
1	მასპინძელი დაწესებულება	
	Host institution	
2	სამეცნიერო - კვლევითი სტაჟირების მასპინძელი სტრუქტურული ერთეულის დასახელება (ინსტიტუტი, ცენტრი, დეპარტამენტი, სკოლა, ფაკულტეტი და ა.შ.)	
	Name of the host unit (institution, center, department, faculty etc.)	
3	ERC – ის მიერ დაფინანსებული პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი (PI) (სახელი, გვარი)	
	Principal Investigator of ERC Funded project (Name, Surname)	
4	ERC-ის მიერ დაფინანსებული პროექტის სახელწოდება	
	The title of ERC funded project	
5	კვლევითი ვიზიტის მასპინძელი სტრუქტურული ერთეულის ვებგვერდი	
	Webpage of the host unit	
6	მისამართი	
	Address	
7	მხარდაჭერის წერილი	PDF ფაილის ატვირთვა
	Letter of support	PDF file upload

ინფორმაცია ახალგაზრდა მეცნიერის შესახებ / Information about the Young scientist		
1	პირადი ნომერი	
	ID number	
2	სახელი, გვარი	
	Name, Surname	
3	სქესი (მდედრ. მამრ.)	
	Sex (male, female)	
4	დაბადების თარიღი	
	Date of birth	
5	აკადემიური ხარისხი/სტატუსი	
	Academic Degree/status	
8	ელექტრონული ფოსტა	
	E-mail	
9	ტელეფონი	
	Telephone	
10	პროფესიული ბიოგრაფია (CV)	PDF ფაილის ატვირთვა
	CV	PDF file upload
11	ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი	PDF ფაილის ატვირთვა
	Language certificate	PDF file upload

ინფორმაცია თანადამფინანსებლის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) Information about co-funding legal/natural person (if applicable)		
1	თანადამფინანსებელი იურიდიული პირის სახელწოდება	
	Co-funding legal person	
2	მისამართი	
	Address	
3	იურიდიული სტატუსი (სსიპ, ა(ა)იპ, შპს-უსდ)	
	Legal status (LEPL, NNLE, LTD-HEI)	
4	ვებგვერდი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	
	Web page (if applicable)	
5	ცნობა თანადაფინანსების შესახებ	PDF ფაილის ატვირთვა
	Letter of co-funding commitment	PDF file upload
6	თანადამფინანსებელი ფიზიკური პირი (სახელი, გვარი)	
	Co-funding natural person (Name, Surname)	

7	ელექტრონული ფოსტა	
	E-mail	
8	ტელეფონი	
	Telephone	
9	ცნობა თანადაფინანსების შესახებ	PDF ფაილის ატვირთვა
	Letter of co-funding commitment	PDF file upload

დანართი №3
დამტკიცებულია
სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის
2019 წლის 18 ივლისის N86 ბრძანებით

ევროპული კვლევების საბჭოს (ERC) გრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან საქართველოს მკვლევართა სამეცნიერო სტაჟირების კონკურსი

საპროექტო წინადადება

რეკომენდებულია: საპროექტო წინადადების მაქსიმალური საერთო მოცულობა - 2000 სიტყვა ცხრილების, დიაგრამების, ნახაზებისა და გამოყენებული ლიტერატურის სიის ჩათვლით; გვერდის ველები: მინიმუმ 1,5 სმ - მარცხნივ, მარჯვნივ, ზემოთ და ქვემოთ; მწკრივების ინტერვალი - მინიმუმ 1, შრიფტი: Sylfaen; ზომა: 10.

ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

პროექტის სახელწოდება	
ევროპული კვლევების საბჭოს (ERC) გრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან სამეცნიერო სტაჟირების ხანგრძლივობა	
ფონდიდან მოთხოვნილი თანხა (ევრო)	
თანადაფინანსება (ევრო) (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	
პროექტის საერთო ბიუჯეტი (ევრო)	
ახალგაზრდა მეცნიერი (სახელი, გვარი)	
ახალგაზრდა მეცნიერის აკადემიური ხარისხი/სტატუსი	
ERC-ის მიერ დაფინანსებული პროექტის სახელწოდება	
ERC-ის მიერ დაფინანსებული პროექტის ხელმძღვანელი (სახელი და გვარი)	
მასპინძელი დაწესებულება	

აბსტრაქტი

(სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 250 სიტყვა.)

1. შემოთავაზებული კვლევითი ვიზიტის/პროექტის აქტუალობა

(დაასაბუთეთ რატომ არის მნიშვნელოვანი ERC ის პროექტში ჩართულობა, წარმოადგინეთ შესაბამისობა ERC ის პროექტის თემასა და თქვენს საკვლევ თემას შორის. სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 400 სიტყვა)

2. კვლევითი სტაჟირების მიზნები და ამოცანები

(შესაბამისი ინფორმაცია ERC - ს საგრანტო კონკურსის შესახებ, რომელშიც მიიღებს მონაწილეობას კვლევითი სტაჟირების დასრულების შემდეგ. სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 300 სიტყვა)

3. პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი

(შეავსეთ ცხრილი, დაამატეთ ან წაშალეთ მწკრივები საჭიროებისამებრ)

№	აქტივობის შესრულების პერიოდი	დაგეგმილი აქტივობები

4. კვლევითი სტაჟირების მოსალოდნელი შედეგები

(წარმოადგინეთ მოსალოდნელი შედეგები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება ERC -ის ერთ-ერთ კონკურსში განაცხადის წარდგენას)

Annex №3

Call for ERC visiting Research Fellowship programme

Project proposal

Recommended length of the proposal: 2000 words in total, including formulas, timetables, diagrams, illustrations and references; page margins: left, right, top and down – minimum 1.5 cm; line spacing – minimum 1, font - Sylfaen, font size 10.

General information about the project

Project title	
Duration of research fellowship with Principal Investigator of ERC funded project	
Funding required from the SRNSFG (Euro)	
Co-funding (Euro) (if applicable)	
Total budget of the project (Euro)	
Young scientist (Name, Surname)	
Academic degree/status of the visiting scholar	
Title of the ERC funded project	
Principal Investigator of ERC funded project (Name and Surname)	
Host institution	

Abstract

(Recommended word count – 250 words)

1. Proposed research fellowship/project

(Please information about the importance participating at ERC project, compliance of your research topic with ERC funded project. Recommended word count - 400 words)

2. Research aims and objectives

(Please provide aims and objectives of the research fellowship and ERC grant call in which the applicant will participate after completion of research visit. Recommended word count – 300 words)

3. Project implementation timeframe

(Fill columns, add or delete rows if needed)

№	Period	Task

4. Expected outcomes of research fellowship

(Please, provide expected outcomes regarding the submission project proposal in ERC grant call)

პირადი ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია

პირადი ნომერი:

ელ.ფოსტა:

სრული სახელი: მობილურის ნომერი:

სქესი: ქვეყანა:

დაბადების თარიღი: ქალაქი:

მოქალაქეობა: მისამართი:

ენები

ენა	წერა	კითხვა	მეტყველება

განათლება

უმაღლესი აკადემიური ხარისხი/სტატუსი

აკადემიური ხარისხი/სტატუსი:

მინიჭების თარიღი:

მიღებული განათლება

აკადემიური ხარისხი/ სტატუსი	დაწესებულების დასახელება	ქვეყანა	სპეციალობა	დაწყების წელი	დასრულების წელი

ტრენინგები/სემინარები/სასწავლო კურსები

ორგანიზაციის დასახელება	ტრენინგის / სემინარის / სასწავლო კურსის თემა	დაწყების წელი	დასრულების წელი

პროექტები

მიმდინარე პროექტები

პროექტის დასახელება	პოზიცია	პროექტის ხელმძღვანელი	დაწყების თარიღი	დონორი

დასრულებული პროექტები

პროექტის დასახელება	პოზიცია	პროექტის ხელმძღვანელი	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	დონორი

სამეცნიერო მიმართულებები

ძირითადი მიმართულებები

მიმართულება:

ქვე-მიმართულება: კატეგორია:

დასაქმების ისტორია

მიმდინარე სამუშაო ადგილ(ებ)ი

სამუშაო ადგილი	სტრუქტურული ერთეულის დასახელება	თანამდებობა	მოვალეობები	დაწყების თარიღი

სამეცნიერო პროდუქტიულობა

პატენტები

დასახელება	გამცემი ორგანიზაცია	სარეგისტრაციო ნომერი	გაცემის წელი

სხვა პროდუქტები

პროდუქტის ტიპი	სარეგისტრაციო ნომერი	გაცემის წელი

სტატია / მონოგრაფია / სახელმძღვანელო

ტიპი	ავტორ(ებ)ი	სათაური	ჟურნალი	წელი

სტიპენდიები და ჯილდოები

სტიპენდიის/ჯილდოს დასახელება	გამცემი	მიღების წელი

სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობა

სამეცნიერო ფორუმის დასახელება	მოხსენების სათაური	ჩატარების ადგილი	წელი

პროდუქტიულობის მაჩვენებელი

#	ციტირების ინდექსი	h-ინდექსი
Google Scholar		
Web-of-Science		
Scopus		

Personal information **Contact Details**

ID Number:

Full name:

Gender:

Date of birth:

Citizenship:

Email address:

Call number:

Country:

City:

Address:.

Languages

Language	Writing	Reading	Speaking

Education

Academic degree

Academic Degree:

Year obtained:

Education

Academic Degree	Name of the Institution	Country	Major discipline	Start year	End year

Trainings / Seminars / Training courses

Training / Seminar / The theme of the course	Organization name	Start year	End year

Projects

Ongoing projects

Project title	Position	Project head	Start Date	Donor

Completed projects

Project title	Position	Project head	Start Date	End Date	Donor

Scientific Fields

Main Field

Field:

Sub-Field: Subject area:

Employment History

Current place(s) of employment

Workplace	Name of the work department	Position	Main responsibilities	Start Date

Scientific Productivity

Patents

Patent name	Issuing organization	Registration number	Year of Issue

Other products

Product Type	Registration number	Year of Issue

Article / Monograph / Manual

Type	Authors	Publication title	Source title	Year

Scholarships and awards

Scholarships/awards name	Issuer	Year of Issue

Participation in scientific events

Scientific event name	Title of the presentation	Event venue	Year

Productivity index

Google Scholar		
Web-of-Science		
Scopus		

დანართი N5
დამტკიცებულია
სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის
2019 წლის 18 ივლისის N86 ბრძანებით

ევროპული კვლევების საბჭოს (ERC) გრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან საქართველოს მკვლევართა სამეცნიერო სტაჟირების კონკურსი

ცნობა თანადაფინანსების შესახებ

განმცხადებლის სახელი, გვარი	
პროექტის სათაური	

	თანადაფინანსების გამცემი იურიდიული პირის სახელწოდება	საიდენტიფიკაციო კოდი	თანადაფინანსების თანხა ლარში
1			

ორგანიზაციის უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

თარიღი:

ორგანიზაციის ბეჭედი:

	თანადაფინანსების გამცემი ფიზიკური პირის სახელი, გვარი	პირადი ნომერი	თანადაფინანსების თანხა ლარში
1			

ფიზიკური პირის ხელმოწერა:

თარიღი:

Call for Call for Basic Research State Grants

Information about the project	
Project tittle	
Principle investigator (Name, Surname)	
Host institution	

Letter of Co-funding Commitment

Co-funding legal / natural person	ID code/ ID number	Funding period	Co-funding Sum (GEL)	Co-funding Sum (foreign currency)

(Please, provide purpose of the co-funding)

Signature of the authorized person:

Organization stamp:

Date:

დანართი №6

დამტკიცებულია

სარეგისტრაციო შიფრი

სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის
2019 წლის 18 ივლისის N86 ბრძანებით

ევროპული კვლევების საბჭოს (ERC) გრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან საქართველოს მკვლევართა სამეცნიერო სტაჟირების კონკურსში მონაწილეობის შესახებ

განცხადება

წარმოგიდგენთ რა ინფორმაციას პროგრამაში მონაწილეობის შესახებ, ვადასტურებ, რომ გავეცანი სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2019 წლის 18 ივლისის N86 ბრძანებით ,, **ევროპული კვლევების საბჭოს (ERC) გრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან საქართველოს მკვლევართა სამეცნიერო სტაჟირების კონკურსის**“ გამოცხადებისა და წარსადგენი დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ და ხელმოწერით ვაცხადებ პროგრამის პირობებზე თანხმობას. ასევე, ვადასტურებ, რომ ჩემ მიერ ელექტრონულ ბაზაში და ფონდის კანცელარიაში წარმოდგენილი ინფორმაცია ზუსტია და არ შეიცავს ყალბ მონაცემებს. ვეთანხმები, რომ ფონდი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს გადაამოწმოს ამ ინფორმაციის სიზუსტე და რაიმე სიყალბის აღმოჩენის შემთხვევაში, მოხსნას განაცხადი პროგრამაში მონაწილეობიდან.

გთხოვთ, დაარეგისტრიროთ ჩემი განცხადება ევროპული კვლევების საბჭოს (ERC) გრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან საქართველოს მკვლევართა სამეცნიერო სტაჟირების კონკურსში მონაწილეობისთვის.

1. **განმცხადებლის სახელი, გვარი:**
2. **აკადემიური სტატუსი:**
3. **პროექტის სათაური:**
4. **მასპინძელი ინსტიტუტი**
5. **ფონდიდან მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსება (ევრო):**
6. **პროექტის დაწყების დრო:**
7. **პროექტის ხანგრძლივობა (თვეები):**

ხელმოწერა:

თარიღი: